ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის

2013 წლის 16 აგვისტოს

არჩევნების

მონიტორინგის
შედეგები

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
18 აგვისტო, 2013
ქ. თბილისი

შინაარსი

1. მონიტორინგის მიზანი
2. ანკეტური გამოკითხვის შედეგები
3. წინასაარჩევნო პერიოდის შეფასება
4. რექტორობის კანდიდატების შეხედულებები
5. ორგანიზაციის დასკვნა

1. მონიტორინგის მიზანი

2013 წლის 16 აგვისტოს, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ განახორციელეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების სადამკვირვებლო უფლებამოსილება.[1] ორგანიზაციის მხრიდან უნივერსიტეტში რექტორის არჩევნების მიმართ დათმობილი ინტერესი განაპირობა რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა, რომელიც წინ უძღოდა რექტორის არჩევნების დანიშვნას:

- 2012 წლის 1 ოქტომბრის პოლიტიკური ცვლილებები შედეგად, ხელისუფლების დამოკიდებულების დაკვირვება უნივერსიტეტის ავტონომიურობის მიმართ
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებების მიმართ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიმართება რექტორის არჩევანის პროცესში
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლიანი, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე არჩევნების შესაძლებლობის დადგენა
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მზაობა დეპოლიტიზირებული მოვლენებისთვის
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატების შესაძლებლობების დადგენა წინასაარჩევნო პროცესში
- რექტორის არჩევნების დღის გამჭვირვალობა

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიზანს წარმოადგენს, ობიექტურად შეფასდეს რექტორის არჩევნები, თუმცა ორგანიზაციისთვის არჩევნების შეფასება არ გულისხმობს მხოლოდ არჩევნების დღის შედეგების მონაცემს.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ყურადღება დაუთმო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში მდგომარეობას, ასევე არჩევნების დღის პროცედურულ ნაწილს. ამიტომაც, ამ მიმართულებით, ორგანიზაციამ მოახდინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების **მონიტორინგი** და **დაკვირვება.** მონიტორინგის ფარგლებში, ორგანიზაციამ შეძლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის რეგისტრირებულ 14 კანდიდატთან წერილობითი კომუნიკაცია და მათი ანკეტური გამოკითხვა, ხოლო დაკვირვების ეტაპზე, შეფასდა საარჩევნო დღის პროცედურული მხარე და არჩევნების შედეგები.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და დაკვირვების მნიშვნელობა განპირობებული გახლდათ პირველი ქართული უნივერსიტეტის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის – რექტორის არჩევნების შესახებ საზოგადოებას სცოდნოდა მიუკერძოებელი ინფორმაცია და მკაფიო წარმოდგენა არჩევნების შეფასებაზე. ამიტომაც, რექტორობის 14 რეგისტრებულ კანდიდატს პროცესის მიმართ ობიექტური აზრის ჩამოყალიბებაში დახმარებისთვის მიმართა. მომზადებული კითხვარის დანიშნულება გახლდათ ინსტიტუციურად წარმოეჩინა არჩევნების საკითხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო შეკითხვები მომზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის 2013 წლის 16 აგვისტოს არჩევნების მიმართ ქართულ მედიაში დაბეჭდილი არაერთი სტატიის შესწვალითა და მასალებში დასმული საკითხების გათვალისწინებით.

2. ანკეტური გამოკითხვის შედეგები

„ახალგარზდა ადვოკატების“ მონიტორინგში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის რექტორობის შემდეგმა კანდიდატებმა: **ვლადიმერ პაპავამ, გიორგი ქავთარაძემ, ილია თავხელიძემ, მერაბ ცაგარელმა, ირმა რატიანმა, მანანა ხაჩიძემ, მედია ჩუხუამ, ინეზა მერაბიშვილმა, ნონა წოწერიამ და დავით გოცირიძემ. (10)** კითხვარს სხვადასხვა მოსაზრებების გამო, არ უპასუხეს რექტორობის შემდეგმა

[1] **„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ თსუ–ის საარჩევნო კომისიას აკრედიტაციისთვის 2013 წლის 7 აგვისტოს მიმართა.**

კანდიდატებმა: **გიორგი ბარამიძემ, ცირა ბარამიძემ, მარინა მუსხელიშვილმა და მარინე ჩიტაშვილმა.**[2] **(4)** თსუ–ის რექტორობის კანდიდატებთან ანკეტური გამოკითხვა მიმდინარეობდა 9–15 აგვისტოს ჩათვლით. ანკეტური გამოკითხვის პირობის თანახმად, ორგანიზაცია იტოვებს უფლებას მიღებული ინფორმაცია გახადოს საჯარო, თუმცა კითხვარში დასმული პასუხის სახით და იღებს პასუხისმგებლობას, არ მოახდინოს რექტორობის რომელიმე კანდიდატის შეხედულების იდენტიფიცირება, მათთან შეთანხმების გარეშე.

„ახალგაზრდა ადვოკატების" მიერ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, თსუ–ის რექტორობის კანდიდატების მიმართ დასმული იქნა 5 ძირითადი შეკითხვა:

1. **როგორ ფიქრობთ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის 16 აგვისტოს რექტორის არჩევნებისთვის უზრუნველყოფილია თუ არა არჩევნების გამჭვირვალობის საკითხი?**
2. **წინასაარჩევნო პერიოდში, გქონდათ თუ არა შესაძლებლობა თქვენი საარჩევნო პროგრამა გაგეცნოთ უნივერსიტეტის სამეცნიერო, აკადემიური და სტუდენტური საზოგადოებისათვის? გთხოვთ, ფაქტობრივი გარემოებებით გაამყაროთ თქვენი შეფასება?**
3. **თქვენი აზრით, რექტორის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდისთვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედი რექტორატისა და ადმინისტრაციის მხრიდან ხომ არ ყოფილა რექტორობის რომელიმე კანდიდატის მიმართ უპირატესობის მინიჭება? რა ფაქტობრივ გარემოებებს ემყარება თქვენი შეფასება.**
4. **თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურად მუშაობს თსუ–ის რექტორის არჩევნებისთვის შექმნილი საარჩევნო კომისია? როგორ შეფასდება საარჩევნო კომისიის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და კომპეტენტურობის საკითხი?**
5. **როგორ ფიქრობთ, რამდენად მაღალია თსუ–ის აკადემიური საბჭოს ნდობისა და დამოუკიდებლობის ხარისხი?**

I კითხვაზე: *„როგორ ფიქრობთ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის 16 აგვისტოს რექტორის არჩევნებისთვის უზრუნველყოფილია თუ არა არჩევნების გამჭვირვალობის საკითხი?",* პასუხი ასე გადანაწილდა:

1. **უზრუნველყოფილია გამჭვირვალობა (7 კანდიდატი)**
2. **არ არის უზრუნველყიფილი გამჭვირვალობა (2 კანდიდატი)**
3. **შეფასებისგან თავი შეიკავა (1 კანდიდატი)**

II კითხვაზე: *„წინასაარჩევნო პერიოდში, გქონდათ თუ არა შესაძლებლობა თქვენი საარჩევნო პროგრამა გაგეცნოთ უნივერსიტეტის სამეცნიერო, აკადემიური და სტუდენტური საზოგადოებისათვის? გთხოვთ, ფაქტობრივი გარემოებებით გაამყაროთ თქვენი შეფასება?",* პასუხი ასე გადანაწილდა:

1. **არსებობდა შესაძლებლობა (8 კანდიდატი)**
2. **არ ჰქონდა შესაძლებლობა (1 კანდიდატი)**
3. **ნაწილობრივ მიეცა შესაძლებლობა (1 კანდიდატი)**

III კითხვაზე: *„თქვენი აზრით, რექტორის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდისთვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედი რექტორატისა და ადმინისტრაციის მხრიდან ხომ არ ყოფილა რექტორობის რომელიმე კანდიდატის მიმართ*

---

[2] **თსუ–ის რექტორობის კანდიდატმა მარინე ჩიტაშვილმა ორგანიზაციის კითხვარის პასუხზე უარი ფიზიკური მდგომარეობის გამო, 14 აგვისტოს, რექტორობის კანდიდატურის მოხსნამდე, ერთი დღით ადრე განაცხადა.**

უპირატესობის მინიჭება? რა ფაქტობრივ გარემოებებს ემყარება თქვენი შეფასება“, პასუხი ასე გადანაწილდა:

1. **რექტორობის რომელიმე კანდიდატის მიმართ უპირატესობა არ ყოფილა (6 კანდიდატი)**
2. **პასუხისგან თავი შეიკავა (2 კანდიდატი)**
3. **რექტორობის ერთი კანდიდატის მიმართ უპირატესობა იყო (2 კანდიდატი)**

IV კითხვაზე: *„თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურად მუშაობს თსუ–ის რექტორის არჩევნებისთვის შექმნილი საარჩევნო კომისია? როგორ შეფასდება საარჩევნო კომისიის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და კომპეტენტურობის საკითხი?“,* პასუხი ასე გადანაწილდა:

1. **საარჩევნო კომისია ეფექტურად მუშაობდა (7 კანდიდატი)**
2. **საარჩევნო კომისია არაეფექტურად მუშაობდა (2 კანდიდატი)**
3. **საარჩევნო კომისიის ეფექტურ მუშაობის შეფასებისგან თავი შეიკავა (1 კანდიდატი)**

V კითხვაზე: *„როგორ ფიქრობთ, რამდენად მაღალია თსუ–ის აკადემიური საბჭოს ნდობისა და დამოუკიდებლობის ხარისხი?“,* პასუხი ასე გადანაწილდა:

1. **აკადემიური საბჭოს ნდობა და დამოუკიდებლობა არსებობს (4 კანდიდატი)**
2. **აკადემიური საბჭოს ნდობისა და დამოუკიდებლობის შეფასებისგან თავი შეიკავა (4 კანდიდატი)**
3. **აკადემიური საბჭოს მიმართ უნდობლობა (2 კანდიდატი)**

3. წინასაარჩევნო პერიოდის შეფასება

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მონიტორინგის განხორციელებისას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატების შეხედულებებით, დაადგინეს რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომელიც აწუხებდათ წინასაარჩევნო პერიოდში რექტორობის კანდიდატებს. ანკეტური გამოკითხვის საფუძველზე, მოხდა შემდეგი სახის პრობლემების იდენტიფიცირება:

- რექტორობის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრების იდენტური დრო, რომელიც მეორე კანდიდატს ხელს უშლიდა საკუთარი პროგრამის უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგენაში.
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში რექტორობის რამდენიმე კანდიდატის მიმართ დათმობილი უფრო ვრცელი საგაზეთო ფართი.
- ქართული მედიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის წინასაარჩევნო პერიოდის მიმართ გამოვლენილი ნაკლები ყურადღება.
- სრულფასოვანი საარჩევნო კამპანიის შეუძლებლობა და რექტორის არჩევნების გამართვის საზაფხულო პერიოდი, უნივერსიტეტისთვის დასვენებისა და შვებულებების პერიოდში
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიცილაური ვებ–გვერდის მიერ დაგვიანებული, ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის ნაკლებობა რექტორობის კანდიდატების შეხვედრების გრაფიკისა და შეხვედრების შემდგომი გაშუქებისათვის.
- რექტორობის კანდიდატებთან სტუდენტების მხირდან შეხვედრების ნაკლები ინიციატივა.

4. რექტორობის კანდიდატების შეხედულებები

„ახალგაზრდა ადვოკატები“ განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, ვრცლად წარმოგიდგენთ ანკეტურ გამოკითხვაში მონაწილე თსუ–ის რექტორობის 10 რეგისტრირებული კანდიდატის მოსაზრებებს. დასმულ შეკითხვებს შემდეგი პასუხი გაეცა:

<u>როგორ ფიქრობთ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის 16 აგვისტოს რექტორის არჩევნებისთვის უზრუნველყოფილია თუ არა არჩევნების გამჭვირვალობის საკითხი?</u>

1. ვფიქრობ, რომ უზრუნველყოფილია.
2. ამ ეტაპზე, სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი, რადგან ქართველი ჟურნალისტები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების საკითხს. საარჩევნო პროცესის გამჭვირვალეობისათვის კი, აუცილებელია მასმედიის ჩართულობა და მონაწილეობა. არცერთი ჟურნალისტი არ დაინტერესებულა რექტორობის კანდიდატების მოღვაწეობის შესწავლით, მათი წარსულით, ვინაობით. ვინ - რა საქმიანობით იყო დაკავებული გასული წლების მანძილზე? რამდენად რეალისტურადაა ასახული წარმოდგენილ კანდიდატების ავტობიოგრაფიაში მათი ნამოღვაწარი? რამდენად შეესაბამებიან ისინი უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობას? რამდენად პასუხობენ მათი კონცეფციები უნივერსიტეტის მოთხოვნებს? სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მოთხოვნებს? რამდენადაა გათვალისწინებული მათ კონცეფციაში 2012-2013 წლებში „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიის“ მიერ შემუშავებული ახალი ხედვები, მათ შორის „ტენუარის პრინციპები“? და ა.შ. შესაბამისად, საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული წარმოდგენილი კანდიდატების შესახებ. რომელი კანდიდატი რას სთავაზობს უნივერსიტეტს? სტუდენტობას? აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს? მხოლოდ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდა ინფორმაცია და უნივერსიტეტის გაზეთში დაიბეჭდა - ისიც, ყოველგვარი კრიტიკისა და გადამოწმების გარეშე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ბედით დაკავებული უნდა იყოს ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი, რადგან ის ქართული სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მიმდინარე საარჩევნო პროცესი, მომავალი ქართული მეცნიერების ბედის საკითხთან არის დაკავშირებული. ასეთ დროს ჟურნალისტების უყურადღებობა დანაშაულია ქართული საზოგადოების წინაშე, რადგან საკითხის გამჭვირვალობა სწორედ მათ ეკისრებათ...
3. მიჭირს შეფასება.
4. ფარული კენჭისყრა გამჭვირვალობის გარანტი არასოდეს არ ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში. დასავლეთში პროფესორსაც და რექტორსაც ღია მსჯელობის შედეგად ღია კენჭისყრით ირჩევენ. ბრიტანეთში მსჯელობის შედეგად ერთ კანდიდატზე შეჯერდებიან და იმას ნიშნავენ კენჭისყრის გარეშე.
5. დიახ, ვფიქრობ, რომ უზრუნველყოფილია.
6. ჯერ-ჯერობით მე არ მაქვს რაიმე საბუთი, რომ ეჭვი შევიტანო არჩევნების გამჭვირვალეობის საკითხში.
7. უნივერსიტეტის წესდების და საარჩევნო კომისიის სამუშაო დებულების დაცვა საკმარისად მიმაჩნია ამ პროცესის უზრუნველსაყოფად. ამ ეტაპზე უიქრობ ყველაფერი წესრიგშია.
8. მე რამდენადაც მაქვს წვდომა და ინფორმაცია უზრუნველყოფილია.
9. დიახ.
10. რთული სათქმელია. შეიძლება ხმის მიცემის პროცესი გამჭვირვალე იყოს.

<u>წინასაარჩევნო პერიოდში, გქონდათ თუ არა შესაძლებლობა თქვენი საარჩევნო პროგრამა გაგეცნოთ უნივერსიტეტის სამეცნიერო, აკადემიური და სტუდენტური საზოგადოებისათვის? გთხოვთ, ფაქტობრივი გარემოებებით გაამყაროთ თქვენი შეფასება?</u>

1. დიახ, საამისო შესაძლებლობა ყველა კანდიდატს ჰქონდა. სურვილის შემთხვევაში, ყოველ ჩვენგანს შეეძლო, შეხვედროდა, როგორც აკადემიურ და სამეცნიერო, ისე – სტუდენტურ საზოგადოებას და მათთვის საკუთარი საარჩევნო პროგრამა გაეცნო.
2. წინასაარჩევნო პერიოდში არ მომეცა საშუალება ჩემი პროგრამა გამეცნო უნივერსიტეტის სამეცნიერო, აკადემიური და სტუდენტური საზოგადოების დიდი ნაწილისათვის. რადგან: საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო კამპანიის პერიოდად განისაზღვრა: სტუდენტებისათვის - დასვნების პერიოდი, ხოლო აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის - შვებულების პერიოდი. შესაბამისად, ასეთ პერიოდში ფართო მასშტაბიანი შეხვედრის ორგანიზება უნივერსიტეტში მოღვაწე საზოგადოებასთან წარმოუდგენელია. საარჩევნო კომისიისაგან იყო მხოლოდ ერთი შემოთავაზება - რექტორობის კანდიდატები შევხვედროდით უნივერსიტეტის „წარმომადგენლობით საბჭოს“ (ანუ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმომადგენლებს). საბჭოს სხდომა ჩატარდა 1 აგვისტოს, სადაც სხდომის დაწყებამდე საბჭოს წევრების გარკვეულმა ნაწილმა ხელი მოაწერა სხდომის ოქმს ქვორუმის შესადგენად, რის შემდეგაც ნაწილმა დატოვა დარბაზი და მოწვეულ კანდიდატებს მოგვიწია გვესაუბრა ჩვენს ხედვებზე წარმომადგენლობითი საბჭოს დაახლოებით 10 წევრთან, მაშინ როცა წარმომადგენლობით საბჭოში არის 39 წევრი. სრული სია შეგიძლიათ იხილოთ: http://tsu.edu.ge/ge/government/representation_council/b-jrek07k27jiym3c/ მოცემულ გვერდზე უნდა განთავსებულიყო წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი, სადაც იქნებოდა წარმოდგენილი რექტორობის კანდიდატებთან შეხვედრის პროცედურა. ეს ოქმი (1 აგვისტოს) ჯერ არ განთავსებულა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://tsu.edu.ge/ge/juridical/representing_council_reports/rep_2013// უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, დრო და დრო ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ რამდენიმე კანდიდატი შეხვდა სხვადასხვა ფაკულტეტის წარმომადგენლებს - თუმცა, გაურკვეველია აუდიტორიის წევრები ვინ იყვნენ? როგორ მოხდა ამ შეხვედრების ორგანიზება? აკადემიური პერსონალის უმრავლესობა საშვებულებო პერიოდში იმყოფებოდა, სტუდენტობას დასვენება ჰქონდა და ა.შ. - აღნიშნულის შესახებ საარჩევნო კომისიას ჩემთვის არაფერი უცნობებია. სტუდენტებთან შეხვედრა - რამდენიმე სტუდნტმა თავიანთი ინიციატივით 3 აგვისტოს მიგვიწვიეს რექტორობის კანდიდატები შეხვედრაზე, სადაც დაახლოებით 20 სტუდენტი ესწრებოდა. გვქონდა შეხვედრა, სადაც ვუპასუხეთ სტუდენტების კითხვებს, გვქონდა დისკუსია. მოხდა შეხვედრის ვიდეო ჩაწერა, სტუდენტები დაგვპირდნენ, რომ ეს ვიდეო მასალა გახდებოდა საჯარო. თუმცა, ეს არ მოხდა. შესაბამისად, მხოლოდ 20 სტუდენტისათვის გაცემული პასუხები, ათასობით სტუდენტისათვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა.
3. დიახ! მქონდა შეხვედრები: 17.07.2013 (16.30-18.00) - სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოსთან (მ.მუსხელიშვილთან, ვ.პაპავასთან და მ.ჩიტაშვილთან ერთად); 19.07.2013 (15.30–18.30) - ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის აკადემიურ და დამხმარე პერსონალთან (ვ.პაპავასთან ერთად); 24.07.2013 (16.30-18.00) - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიურ და დამხმარე პერსონალთან (მ.ხაჩიძესთან ერთად); 25.07.2013 (16.00-18.00) - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან (მ.ცაგარელთან და მ.ხაჩიძესთან ერთად); 1.08.2013 (15.00-16.30) - იურიდიული ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან (მ.ხაჩიძესთან ერთად); 1.08.2013 (14.00-15.00) - უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოსთან (მოწვეული იყო ყველა კონკურსანტი, შეხვედრას დავესწარი მხოლოდ 15 საათამდე!); 7. 3.08.2013 (12.00-15.00) - უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილთან

(მოწვეული იყო ყველა კონკურსანტი, შეხვედრა გააშუქა ტელევიზიებმა); 8. 12.08.2013 (12.00-13.00) - აკადემიურ საბჭოსთან.

4. საბუთების შეტანის ვადა 12 ივლისს დასრულდა. საარჩევნო კომისიას ჩემთვის არანაირი გრაფიკი არ შემოუთავაზებია, თუმცა უნივერსიტეტში მითხრეს, რომ ყოველი კონკურსანტი, იმ შემთხვევაში თუ ფაკულტეტი არ დაპატიჟებდა, თავად მიმართავდა ფაკულტეტს, მოეწყოთ მისთვის შეხვედრა. მე დიდი ფიქრი არ მჭირდება იმაზე, რომ, როდესაც კონცეფცია ჩაბარებული გაქვს ფაკულტეტის პრობლემებს იქ ვეგარ ასახავ. ამასთანავე მე თავად ვარ უნივერსიტეტის პროფესორი და მისი პედაგოგი 35 წლის მანძილზე, და კარგად ვიცნობ მას. გარდა ამისა, უნდა გააცნობიერო ის, რომ შენ განაცხადი შეტნილი გაქვს არა რომელიმე ფაკულტეტის დეკანის, არამედ რექტორის თანამდებობაზე. ამდენად, მე ავირჩიე დიდი სააქტო დარბაზი 700 ადგილს ტევადობით და გავასაჯაროვე განცხადება სოციალურ ქსელზე 20 ივლისს, ხოლო შემდეგ, ორშაბათს თსუ პიარისა და სხვათა გზებით, ინტერნეტის საშუალებით. შეხვედრა წარმატებით ჩატარდა 24 ივლისს, 16 საათზე თსუ სააქტო დარბაზში. იხ. გაზეთი „საქ. რესპუბლიკა“ 27.07.13 და გაზეთი “Georgian Journal” 25.07.13. ხელის შემშლელ ფაქტორად მივიჩნიე ის, რომ მიუხედავად ჩემი განაცხადის დროულად განთავსებისა, 22 ივლისს, როდესაც დეკანს ჩემი მიწვევა გადავეცი მაცნობა, რომ ერთი საათის წინ პაპავამაც ზუსტად იმ დროს მოიუსურვა შეხვედრა ჩვენი, ჰუმანიტარულ – მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესურასთან. მიუხედავად ჩემი თხოვნისა, ეს შეხვედრა არ შეიცვალა და ჩვენ პარალელურ რეჟიმში ვიმუშავეთ. ჩემი შეხვედრა გაგრძელდა 3 საათს და დარბაზი თითქმის სავსე იყო.
5. დიახ, მე შეხვედრები მქონდა თითქმის ყველა ფაკულტეტის საბჭოებთან.
6. რამოდენიმე ფაკულტეტმა თავად ითხოვა ჩემთან შეხვედრა, დანარჩენებს მე შევთავაზე. შევხვდი ექვსივე ფაკულტეტის წარმომადგენლებს. ასევე შევხვდი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს. მონაწილეობა მივიღე სტუდენტთა ერთი ჯგუფის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში რექტორობის კანდიდატებთან. მიმწვია წარმომადგენლობითმა საბჭომ. ყველა ამშეხვედრაზე მომეცა სრული საშუალება გამეცნო დამსწრე საზოგადოებისათვის ჩემი შეხედულებები.
7. მე მივმართე ოფიციალური წერილით თსუ-ს ყველა ფაკულტეტის დეკანებს თანამშრომლებთან შეხვედრის თხოვნით, რაც დაკმაყოფილდა ყოველგვარი პრობლემის გარეშე და შევხვდი ყველა ფაკულტეტის წარმომადგენლებს.
8. დიახ. ზემოთ აღნიშნულ საზოგადოებას შემიძლია დავამატო დაინტერესებული საზოგადოებაც. გვქონდა შეუზღუდავი თანაბარი შესაძლებლობები.
9. დიახ, შეხვედრები ფაკულტეტებზე, აკადემიური საბჭოს წევრებთან, ერთხელ საერთო შეხვედრა სტუდენტებთან.
10. საშუალება მქონდა, მაგრამ საზღვარგარეთ ყოფნის გამო არ გამომიყენებია ყველა საშუალება.

<u>თქვენი აზრით, რექტორის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდისთვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედი რექტორატისა და ადმინისტრაციის მხრიდან ხომ არ ყოფილა რექტორობის რომელიმე კანდიდატის მიმართ უპირატესობის მინიჭება? რა ფაქტობრივ გარემოებებს ემყარება თქვენი შეფასება.</u>

1. ჩემი თვალსაზრისით, რამდენადაც გარედან შეიძლება ამ მოვლენებზე დაკვირვება, ასეთ ქმედებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა.
2. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციიდან შემიძლია დავასახელო ერთი კანდიდატის მიმართ რამდენიმე ფაქტი: უნივერსიტეტის გაზეთში დაიბეჭდა აკადემიური საბჭოს წევრების (კონკრეტული ამომრჩევლების) ინტერვიუები, მათ შორის ინტერვიუ ბატონ რამაზ ქურდაძესთან http://www.tsu.edu.ge/data/file_db/newspaper/TSU_28.06_web.pdf - იხილეთ: 5 გვერდი. კითხვაზე: „რატომ გაჩნდა აკადემიურ საბჭოსადმი ნდობის

დეფიციტი?“, ის პასუხობს: „ამ არეულ ფონზე გულზე მალამოდ მომეცხო ბატონ ლადო პაპავას განცხადება. როდესაც მას ჰკითხეს ამ აკადემიურ საბჭოზე, რატომღაც მეგონა, რომ ჩვენს ლანძღვას დაიწყებდა, მაგრამ მან ძალიან ობიექტურად უპასუხა.“ - წინა საარჩევნო პერიოდში, მაშინ როცა არჩევნების ფორმატად განისაზღვრა ფარული კენჭისყრა. ეს არის ღიად გამოხატული მხარდაჭერა აკადემიური საბჭოს წევრისაგან. ასევე, რექტორობის კანდიდატი ვლადიმერ პაპავა სატელევიზიო გადაცემაში აღნიშნავს, როგორც შეხვედრების ორგანიზატორი: „შეხვედრების აბსოლიტურ უმრავლესობაზე მონაწილეობდნენ ფაკულტეტების ის წევრები, რომლებიც არიან აკადემიურ საბჭოს წევრები, ანუ ვინც არის ამომრჩეველი“ (აღნიშნული შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ გვერდზე: http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=tv9hd – 7 აგვისტო. 13:16 საათიდან) - მაშინ როცა საარჩევნო კომისიამ რექტორობის კანდიდატებთან აკადემიური საბჭოს წევრების გასაუბრება დანიშნა (იხილით გასაუბრების განრიგი: http://tsu.edu.ge/ge/vacancies/v9yubuoqwhqdlni37/), იმისათვის, რომ მათ ფარული კენჭისყრით აირჩიოს რექტორი. ასეთ შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს წევრების მონაწილეობა რექტორობის კანდიდატის საარჩევნო კამპანიაში ნიშნავს მათ ღია მხარდაჭერას აღნიშნული კანდიდატისადმი. აღნიშნულ გადაცემაში რექტორობის კანდიდატი აცხადებს: ჟურნალისტის კითხვაზე „თქვენ იცნობთ ახლოს ამ თორმეტიდან რომელიმეს?“ - პასუხობს: „რა თქმა უნდა. ერთთან ვმუშაობდი, ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან ერთ ინსტიტუტში... არის ასეთი მათემატიკოსი“ (იხილეთ:http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=tv9hd – 7 აგვისტო. 13:32 საათიდან) - აკადემიური საბჭოს წევრებიდან მათემატიკოსი არის ელიზბარ ნადარია, რომელიც უნივერსიტეტის გაზეთთან მიცემულ ინტერვიუში რექტორის შერჩევის კრიტერიუმად ყველასგან განსხვავებულ მოთხოვნას „ციტირების ინდექსს“ ასახელებს. მსგავსი მოთხოვნა რექტორობის კანდიდატისათვის საარჩევნო კომისიას არ განუსაზღვრია. შესაბამისად მას ამ განცხადების იურიდიული უფლება არ ჰქონდა. (იხილეთ:http://www.tsu.edu.ge/data/file_db/newspaper/TSU_28.06_web.pdf - გვერდი 4.).

3. ჩემს მიმართ დანამდვილებით ვიცი - არა!
4. წინა კითხვაზე ჩემი პასუხი ნიშნავს იმას, რომ ფაკულტეტის დეკანმა უკეთეს შემთხვევაში არ გამოიჩინა მისთვის სავალდებულო ადმინისტრაციული მოქნილობა და უარი განაცხადა ჩემს დაბეჯითებით თხოვნაზე პაპავას შეეცვალა დღე ან საათი. 2) ვიდრე მივიღებდით კონკურსანტის სტატუსს, უფრო ზუსტად, ვიდრე დაიწყებოდა საბუთების მიღება, თსუ გაზეთის საშუალებით წინა ნომრებში პაპავამ გააჩაღა საარჩევნო კამპანია, როგორც რექტორობის პრეტენდენტმა. მაგ. 28 ივნისის ნომერში მას სრული 4 გვერდი დაეთმო.
5. მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.
6. ამ ეტაპზე ასეთ ინფორმაციას არ ვფლობ.
7. მსგავსი ფაქტი არ შემინიშნავს.
8. ჩატარებული საარჩევნო კამპანია და განვლილი საარჩევნო პერიოდი მაძლევს იმის საფუძველს, რომ ვთქვა ყოველგვარ მიკერძოებას, ნეპოტიზმს, პროტექციონიზმს, ფავორიტიზმს ადგილი არ ქონია.
9. არა, არ ყოფილა.
10. ვერ გეტყვით, არ ვარ საქართველოში.

<u>თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურად მუშაობს თსუ–ის რექტორის არჩევნებისთვის შექმნილი საარჩევნო კომისია? როგორ შეფასდება საარჩევნო კომისიის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და კომპეტენტურობის საკითხი?</u>

1. რამდენადაც ჩემი ურთიერთობა საარჩევნო კომისიასთან ჯერჯერობით მხოლოდ და მხოლოდ საბუთების ჩაბარებით შემოიფარგლება, მის მიმართ არავითარი პრეტენზია არ შეიძლება, მქონდეს.

2. საარჩევნო კომისიის მუშაობა არაეფექტურია, რადგან მათ არცერთი განცხადება არ გაუკეთებიათ ზემოთ აღნიშნულ დარღვევებზე. რაც შეეხება მათ გამჭვირვალობას - რა პრინციპით შეიქმნა ეს კომისია? კომისიის წევრების ბიოგრაფია? მათი მოღვაწეობა? - უცნობია საზოგადოებისათვის...
3. ამ ეტაპზე ეფექტურობის შეფასების გაკეთება მიჭირს; მიჭირს პასუხის გაცემა (კითხვა მოითხოვს დაზუსტებას)
4. მათი პირველი კანონდარღვევა ის იყო, რომ 19 კაცის განაცხადი მიიღეს, კონცეფციები დააწერინე, მათი გვარები გაასაჯაროვეს, ხოლო ხუთს მოგვიანებით უარი უთხრეს იმის გამო რომ 65 წელს ზემოთ იყვნენ. იმედია, ჩემი კომენტარი იურისტებს არ გჭირდებათ, როგორ არ შეესაბამებოდა ეს ქმედება საკონკურსო განცხადებას და აგრეთვე კანონის მიხედვით წამოყენებულ პირობებს.
5. ვფიქრობ, რომ კომისია მუშაობს კორექტულად.
6. ჯერ-ჯერობით მე არ მაქვს რაიმე საბუთი, რომ ეჭვი შევიტანო საარჩევნო კომისიის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის და კომპეტენტურობის საკითხში.
7. საარჩევნო კომისია შედგება ღირსეული და პასუხისმგებლიანი პირებისაგან. ისინი კარგად ართმევენ თავს ამ საპასუხისმგებლო საქმეს. შეიძლება ითქვას სანიმუშოდ. რაც უდავოდ თავმჯდომარის ბატონ დ. ბოსტოღანაშვილის დამსახურებაა, ვისურვებდი ქვეყანაში მიმდინარე სხვა არჩევნები ჩატარდებოდეს შესაბამისად.
8. დადებითად.
9. საარჩევნო კომისია ეფექტურად მუშაობს. დამოუკიდებლობასა და გამჭვირვალობაზე ვერ გპასუხობთ.

<u>როგორ ფიქრობთ, რამდენად მაღალია თსუ–ის აკადემიური საბჭოს ნდობისა და დამოუკიდებლობის ხარისხი?</u>

1. წინასწარ ძნელია რაიმეს თქმა. ეს ყველაფერი, ალბათ, საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოიკვეთება, როდესაც გამოჩნდება, რამდენად ღირსეული კანდიდატი გაიმარჯვებს.
2. აკადამიურ საბჭოს წევრებიდან პირადად არავის ვიცნობ. პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის უახლეს ისტორიაში ადგილი ჰქონდა რეპრესიულ რეფორმებს, რასაც მოჰყვა მრავალი ღირსეული მეცნიერის უნივერსიტეტიდან გაშვება. ამჟამად, წარმოდგენილი საბჭო ეკუთვნის, იმ ადმინისტრაციას რომელმაც რეპრესიები განახორციელა უნივერსიტეტში. თუმცა, ჩემი მონაწილეობა ამჟამინდელ კონკურსში გამოწვეულია ქვეყანაში შემნილი რეალობიდან, რომ ახალი ხელისუფლება ცდილობს აღადგინოს სამართლიანობა ქვეყანაში და იმედი მაქვს აღნიშნული საბჭო ამ რეალობას ვერ გაექცევა. თუმცა, ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ სამართლიან გადაწყვეტილებას, თსუ იურისტები და ჟურნალისტები აქტიურად ჩაერთვებიან საარჩევნო პროცესში და საზოგადოებისათვის გამჭვირვალეს გახდიან ყველა დარღვევას. ასევე უნდა ითქვას, რომ აკადემიურ საბჭოში არის 12 ამომრჩეველი, ხოლო რექტორობის კანდიდატი არის - 15. შესაბამისად, ერთი აკადემიური საბჭოს წევრთან ინტერესთა კონფლიქტი რომელიმე რექტორობის კანდიდატის, უკვე გამოიწვევს არჩევნების გაყალბებას. ერთ-ერთ კანდიდატთან, ვლადიმერ პაპავასთან ინტერესთა კონფლიქტზე ზემოთ უკვე ავღნიშნე. გარდა ამისა, რექტორობის კანდიდატი ცირა ბარამიძე უკანასკნელი წლების განმავლობაში მუშაობდა თსუ-ს ადმინისტრაციულ თანამდებობებზე და მათ შორის ახლანდელ აკადემიურ საბჭოს წევრებთან ერთად - ერთ ორგანიზაციაში, ერთ ორგანოში - ამ შემთხვევაშიც ინტერესთა კონფლიქტთან გვაქვს საქმე.
3. ჩემი საბუთების წარდგენით ალბათ უკვე გამოვხატე ნდობის საკითხი.

4. რომ მთლიანად არ ვენდობოდე, არც შევიტანდი, მაგარმ ჩემს შემთხვევაში ეს ნდობა უფრო მათი პასუხისმგებლობითაა გამოწვეული. რაც სეეხება გასაუბრებას, რომელმაც ჩემთან 12–ში ჩაიარა მე კმაყოფილი ვარ, როგორც მეკადრებოდა ჩემით და მათი რეაქციით. ეს უფრო მათ უნდა კითხოთ, მათი დამოკიდებულების არ მსმენია.
5. მე ნდობას ვუცხადებ აკადემიურ საბჭოს, რომელიც დაკომპლექტებულია ფაკულტეტების მიერ არჩეული პროფესორებით.
6. ჩემი შეფასებით მთავრობამ დაიკავა სწორი პოზიცია, რომ არ ერევა არჩევნების საკითხში. უნივერსიტეტის გარშემო შექმნილი საზოგადოებრივი აზრი კი იძლევა იმის საფუძველს, რომ აკადემიური საბჭოს წევრებმა დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება უნივერსიტეტის მომავლის სასარგებლოდ.
7. აკადემიური საბჭოს ყოველი წევრი წარმოადგენს თავის ფაკულტეტს. ის ფაქტი, რომ ფაკულტეტები ენდობიან თავიანთ წარმომადგენლებს (რადგან არ მოხდა მათი გაწვევა) მე არ მაქვს უფლება არ ვენდო მათ. საბჭო დამოუკიდებელია, რამდენადაც დამოუკიდებელია თითოეული ადამიანი.
8. წინასწარი შეფასებისგან თავს შევიკავებ. არჩევნები გვიჩვენებს, თუმცა მე არ მაქვს ეჭვისა და უნდობლობის არანაირი საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილეობას არ მივიღებდი. ერთერთი ფაქტორი რამაც ჩემი არჩევნებში მონაწილეობა განაპირობა იყო ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის რწმენა. ვიმედნოვნებ ჩატარდება ყველაზე გამჭვირვალე ობიექტური და სამართლიანი არჩევნები. ვინაიდან აკადემიური საბჭო ყოველგვარი ზეწოლისგან თავისუფალი იქნება.
9. გამოაჩენს არჩევნების შედეგები!
10. ვერ შევაფასებ დამოუკიდებლობას.

5. ორგანიზაციის დასკვნა

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის 16 აგვისტოს რექტორის არჩევნები თსუ–ის წესდების, საარჩევნო დებულებისა და ყველა სხვა ნორმატიული დოკუმენტის სრული დაცვით ჩატარდა. დაკვირვების პროცესში, დაცული იქნა პროცედურით დადგენილი ყველა იურიდიული ქმედება. კენჭისყრის პროცესს დაესწრო თსუ–ის რექტორობის კანდიდატები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და საარჩევნო კომისია ერთი წევრის გამოკლებით. საარჩევნო უბანზე არჩევნების პროცესის გამჭვირვალობას, აგრეთვე ხელი შეუწყო მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დაშვებამ, მათ შორის ფარული კენჭისყრის შედეგების გამოველნის პროცესში. უნივერსიტეტის რექტორობის არც ერთ კანდიდატს არ გამოუხატავს სიტყვიერი შენიშვნა საარჩევნო პროცედურების მიმართ. არც მათი და არც სადამკვირვებლო მისიის არც ერთი წარმომადგენლის მხრიდან არ მომზადებულა საჩივრის ოქმი. საარჩევნო უბანის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა უნივერსიტეტიის დაცვის სამსახური. კენჭისყრის პროცესისთვის გავლენა არ მოუხდენია უნივერსიტეტის ეზოში მიმდინარე სტუდენტთა ერთი ჯგუფის აქციასაც, რომლის მოთხოვნაც, კანონმდებლობაში ცვლილებები და თსუ–ის რექტორის არჩევის პირდაპირი წესით შემოღება გახლდათ. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების თავისუფლად გაშუქების საშუალება მიეცა ყველა საინფორმაციო საშუალებას, რომელიც ადგილზე იმყოფებოდა. უნივერსიტეტის არჩევნების კენჭისყრის პროცესი აისახებოდა უნივერსიტეტის ოფიციალური ვიდეო გადაღებით.

ორგანიზაციის შეფასებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013 წლის 16 აგვისტოს რექტორის არჩევნები თავისუფალი ნების გამოხატულების ყველა სტანდარტს და პრინციპს პასუხობდა. იმ ტექნიკური და საორგანიზაციო სახის საკითხებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წინასაარჩევნო პერიოდში, გავლენა ვერ იქონია არჩევნების შედეგებზე. ანკეტური გამოკითხვით დადასტურდა, რომ რექტორობის კანდიდატობის უმრავლესობას შესაძლებლობა ჰქონდა ეწარმოებინა წინასაარჩევნო კამპანია და წარმსდგარიყო საკუთარი პროგრამით აკადემური საბჭოს წინაშე. რექტორობის კანდიდატების უმრავლესობის შეფასებებმა ცალსახად მიუთითეს თსუ–ის არჩევნების დეპოლიტიზირების ნამდვილობაზე. მიუხედავად რექტორობის კანდიდატების მხრიდან მედიასთან არჩევნების შეფასების დროს გამოთქმული კრიტიკული შეხედულებებისა, მათი მხრიდან არ მომხდარა საარჩევნო დებულების რომელიმე მუხლის დარღვევაზე მითითება და მოსაზრებების მტკიცებულებებით დადასტურება. რექტორობის კანდიდატების ყველა კრიტიკული მოსაზრება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებ არ გაცდენია.

უნივერსიტეტში რექტორის არჩევნები თავისუფალი აღმოჩნდა პოლიტიკური პარტიების ინტერესებისგან. 2013 წლის რექტორის არჩევნები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გამოარჩევდა 2004–2010 წლებში ჩატარებულ ყველა მმართველობის დონის არჩევნების პროცესს, რომელიც ნაკარნახევი იყო ხელისუფლების მხრიდან უნივერსიტეტის ავტონომიაში უხეში ჩარევით და უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების პროცესში გავლენის მოპოვებით.